თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 18 მარტი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. სერგი ჯიხვაშვილი, 4. შალვა ჭანკვეტაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. მირზა აფრიდონიძე, 7. ნოდარი ხოხიაშვილი, 8. გიორგი ბერკაშვილი, 9. ზურაბ ჩხიკვაძე, 10. სოსო ჩაფიჩაძე, 11.იუზა უგრეხელიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ლაშა გურგენიძე.

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282607018, 11.03.2026 წ).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №85 განკარგულების საფუძველზე, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოეყო 690000 ლარი,

მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე წლის 9 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა სოფლის საერთო კრებები და კონსულტაციები საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, შერჩეულია 64 პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე